დანართი 21 (10.11.2016 -№01-45/ნ)

„თერაპიული სტომატოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „თერაპიული სტომატოლოგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:
„თერაპიული სტომატოლოგია“ არის მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის სარძევე და მუდმივი კბილების, კბილისირგვლივი ქსოვილების და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების გამომწვევ მიზეზებსა და განვითარების მექანიზმებს, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკისა და კონსულტირების ასპექტებს მოზრდილთა და ბავშვთა ასაკში.

3. ზოგადი ცოდნა:
ექიმმა თერაპევტ-სტომატოლოგმა უნდა იცოდეს:
ა) პირის ღრუსა და ყბა-კბილთა სისტემის განვითარების, ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ჰისტოლოგიური მახასიათებლები;
ბ) სტომატოლოგიური დაავადებების კლასიფიკაცია;
გ) სტომატოლოგიური დაავადებების ეტიო-პათოგენეზი;
დ) პირის ღრუსა და ყბა-კბილთა სისტემის გამოკვლევის მეთოდები, მათი გამოყენების თანმიმდევრობა, გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება;
ე) სამედიცინო დოკუმენტაციის შევსება;
ვ) მუდმივი და სარძევე კბილების სისტემიზაცია;
ზ) სტომატოლოგიურ დაავადებათა ეპიდემიოლოგია (გავრცელება, ინტესივობა);
თ) სტომატოლოგიურ დაავადებათა პრევენციის ძირითადი საკითხები, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ტიპები და მათი ჩატარების აუცილებლობა;
ი) მოზრდილთა და ბავშვთა სტომატოლოგიური დაავადებების მართვა (მტკიცებულებებზე დაფუძნებული მკურნალობის უახლესი, თანამედროვე პრინციპები):
ი.ა) კარიესი და მისი მართვა;
ი.ბ) არაკარიესული დაავადებები და მათი მართვა;
ი.გ) კბილების ტრავმული დაზიანებები და მათი მართვა;
ი.დ) პულპიტი და მისი მართვა;
ი.ე) პერიაპიკალური დაზიანებები და მათი მართვა;
ი.ვ) პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ტრავმული დაზიანებები და მათი მართვა;
ი.ზ) პაროდონტის დაავადებები (ბავშვთა ასაკში გინგივიტი, პაროდონტიტი, იუვენილური პაროდონტიტი, სწრაფად პროგრესირებადი პაროდონტიტი) და მათი მართვა.

კ) მკურნალობით გამოწვეული გართულებების მართვა;
ლ) საბჟენ-სარესტავრაციო მასალების სელექციური გამოყენება;
მ) ესთეტიკური რესტავრაციის კონცეპტუალური პრინციპები;
ნ) ენდოდონტიური მასალების შერჩევის პრინციპები;
ო)ანესთეზიისა და სედაციის ჩატარების თავისებურებები;
პ) რაციონალური ფარმაკოთერაპიის პრინციპები;
ჟ) დეონტოლოგიის პრინციპები (პაციენტებთან, პაციენტ-ბავშვებთან, მათ მშობლებთან და პერსონალთან ურთიერთობისას);
რ) ინფექციის კონტროლის საკითხები;
ს) პირველადი გადაუდებელი დახმარება;
ტ) ბავშვთა ასაკში თერაპიული სტომატოლოგიის ძირითადი ასპექტები:
ტ.ა) ბავშვთა პირის ღრუსა და ყბა-კბილთა სისტემის ასაკობრივი ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ჰისტოლოგიური მახასიათებლები;
ტ.ბ) ბავშვთა ყბა-კბილთა სისტემის ასაკობრივი განვითარების ვადები (სარძევე კბილთა ამოჭრისა და ექსფოლიაციის ვადები, ახალგაზრდა მუდმივი კბილების ამოჭრისა და ფესვის ფორმირების-აპექსოგენეზის ვადები, მინანქრის მომწიფების ვადები);
ტ.გ) სტომატოლოგიური დაავადებების მიმდინარეობის თავისებურებანი ბავშვთა ასაკში;
ტ.დ) სტომატოლოგიური დაავადებების მკურნალობის სპეციფიკა ბავშვთა ასაკში;
ტ.ე) ბავშვთა ასაკში საბჟენ-სარესტავრაციო მასალების შერჩევის კრიტერიუმები;
ტ.ვ) ბავშვებისათვის სტომატოლოგიური სერვისის მიწოდების სპეციფიკა (ფსიქოლოგიურ-ასაკობრივი ასპექტების გათვალისწინება).

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	დაავადება/მდგომარეობა	საქმიანობის მოცულობა
K02.0	მინანქრის კარიესი	ა) ლაქოვანი კარიესის დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოზი, სიმძიმის განსაზღვრა და მკურნალობა, დაავადების მიმდინარეობაზე მონიტორინგი; ბ) მინანქრის ზედაპირული კარიესის დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოზი. კარიესის მკურნალობა (კბილის დაბჟენა) და დაავადების მონიტორინგი; გ) სარძევე და ახალგაზრდა მუდმივი კბილების ლაქოვანი და მინანქრის კარიესის დროული გამოვლენა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, ბავშვის პირის ღრუს მდგომარეობის შეფასება, კარიესის კომპენსირების სტადიის დადგენა, კბილების მკურნალობა (რემ-თერაპია და დაბჟენა) და დაავადების მონიტორინგი.

K02.1	**დენტინის კარიესი**	ა) საშუალო ზომის კარიესული დეფექტის ლოკალიზაციის დადგენა. დიფერენციული დიაგნოსტიკა, კბილის დაბჟენა და დაავადების მონიტორინგი; ბ) ღრმა კარიესული დეფექტების შემთხვევაში დენტინის კარიესის დიაგნოსტირება, საჭიროებისამებრ რენტგენოდიაგნოსტიკა. კბილის დაბჟენა-რესტავრაცია (საჭიროების შემთხვევაში სამკურნალო სარჩულის გამოყენება) და დაავადების მონიტორინგი; გ) სარძევე და ახალგაზრდა მუდმივი კბილების დენტინის კარიესის დროული გამოვლენა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, კარიესის კომპენსაციის ხარისხის დადგენა, კბილების დაბჟენა (საჭიროების შემთხვევაში სამკურნალო სარჩულით) და დაავადების მონიტორინგი.
K.02.2	**დუღაბის კარიესი**	დუღაბის კარიესის დიაგნოსტიკა. დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობის სირთულეების დადგენა და მასთან დაკავშირებული დაავადების მართვის სპეციფიკის განსაზღვრა. ენდოდონტიური მკურნალობის და/ან კბილის ექსტრაქციის ჩატარების განსაზღვრა.
K.02.3	**კბილების შეჩერებული (დათრგუნული) კარიესი**	დაავადების დიაგნოსტიკა. კარიესული პროცესის სტაბილიზაციის განსაზღვრა, ფისურული პიგმენტაციების მართვა, შეჩერებული კარიესის მონიტორინგი და პაციენტთა პროფილაქტიკური დათვალიერების რეჟიმის შედგენა.
K 02.8	**კბილების სხვა კარიესი (მეორადი კარიესი, კარიესის რეციდივი)**	ა) კლინიკურ-რენტგენოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე კარიესის რეციდივისა და მეორადი კარიესის დიაგნოსტირება, მათი მკურნალობა, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის კარიესისა (K 02.1, K 02.0); ბ) სარძევე და ახალგაზრდა მუდმივი კბილების მეორადი ან რეციდიული კარიესის დროული გამოვლენა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, ბავშვის პირის ღრუს მდგომარეობის შეფასება, კარიესის კომპენსაციის ხარისხის დადგენა, მკურნალობა როგორც ნებისმიერი სხვა კარიესისა.
K 02.9	**კბილების კარიესი, დაუზუსტებელი**	კლინიკურ-რენტგენოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე კარიესის დიაგნოსტირება და მათი მკურნალობა, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის კარიესისა (K 02.1, K 02.0).
K 03.0	**კბილების ინტენსიური ცვეთა**	კბილთა ცვეთის დიაგნოსტიკა, თანკბილვის ტიპის და ცვეთის კორექციის მეთოდების განსაზღვრა და ჩვენებისამებრ დაბჟენა-რესტავრაცია. რეფერალი ორთოპედ-სტომატოლოგთან.
K03.1	**კბილების აბრაზია**	ა) არაკარიესული დაზიანების დიაგნოსტიკა. დიფერენციული დიაგნოსტიკა, დაზიანების ხარისხის შეფასება, კბილთა რესტავრაცია. ექიმ-ორთოპედთან, ორთოდონტთან ან შესაბამისი დარგის სპეციალისტთან რეფერალი, დაავადების

		მონიტორინგი; ბ) სარძევე და ახალგაზრდა მუდმივი კბილების აბრაზიის დროული გამოვლენა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, ბავშვის პირის ღრუს მდგომარეობის შეფასება, კომპენსაციის ხარისხის დადგენა, კბილების დაბჟენა ადეკვატური საბჟენი მასალებით. მკურნალობის შედეგის მონიტორინგი. საჭიროებისამებრ პრეპარატების რეკომენდირება. რემთერაპია. რეფერალი პედიატრთან.
K03.2	**კბილების ეროზია**	ა) არაკარიესული დაზიანების მქონე კბილების კლინიკური გამოკვლევა, დიაგნოსტიკა. დიფერენციული დიაგნოსტიკა, დაზიანების ხარისხის შეფასება, კბილთა რესტავრაცია, ექიმ-ორთოპედთან ან შესაბამისი დარგის სპეციალისტთან რეფერალი, დაავადების მონიტორინგი; ბ) სარძევე და ახალგაზრდა მუდმივი კბილების აბრაზიის დროული გამოვლენა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, ბავშვის პირის ღრუს მდგომარეობის შეფასება, კომპენსაციის ხარისხის დადგენა, კბილების დაბჟენა ადეკვატური საბჟენი მასალებით. მკურნალობის შედეგის მონიტორინგი. საჭიროებისამებრ პრეპარატების რეკომენდირება. რემთერაპია. რეფერალი პედიატრთან.
K03.6	**კბილის ნადებები (კბილის ამოჭრის შემდეგ განვითარებული)**	ჰიგიენური ინდექსის განსაზღვრა, პროფესიული ჰიგიენის ჩატარება, ინდივიდური ჰიგიენის ჩვევების სწავლება.
K03.7	**კბილების მაგარი ქსოვილის ფერის ცვლილებები, კბილების ამოჭრის შემდგომი**	კბილთა პროფესიული გათეთრების მეთოდთა და საშუალებების შერჩევა და გამოყენება.
K03.8	**კბილის მაგარი ქსოვილების სხვა დაზუსტებელი ავადმყოფობები**	მათ შორის კბილთა ჰიპერესთეზია: ჰიპერესთეზიის დიფერენცირება კბილის მაგარი ქსოვილების მსგავს დაავადებებთან, მგრძნობელობის დამაქვეითებელი სამკურნალო საშუალებების შერჩევა და გამოყენება. მათ შორის კბილის მინანქრისა და დენტინის ისეთი დაზიანება, რომელიც კბილის ენდოდონტიურ მკურნალობას არ საჭიროებს და მკურნალობა წარიმართება ისე, როგორც კბილის კარიესის შემთხვევაში (K02.0; K02.1; K02.8) (მაგ. ტრავმული დაზიანება, რესტავრირებული კბილის ფრაგმენტის ჩამოტეხვა) - გამომწვევი ფაქტორების დადგენა, გამოკვლევის მეთოდთა შერჩევა, მკურნალობა და დაავადების მონიტორინგი.
K04.0	**პულპიტი**	ა) შექცევადი პულპიტები (პულპის ჰიპერემია, პულპის შემთხვევითი გაშიშვლება): დაავადების დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოზი. მკურნალობა პულპის ცხოველმყოფელობის შენარჩუნებით, პულპის დაფარვის საშუალებების შერჩევა და მკურნალობა, დავადების მონიტორინგი;

		ბ) სარძევე და ახალგაზრდა მუდმივი კბილების შექცევადი პულპიტის დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოზი, მკურნალობა პულპის ცხოველმყოფელობის შენარჩუნებით. დაავადების მონიტორინგი; გ) შეუქცევადი პულპიტები (მწვავე, ქრონიკული, ქრონიკული გამწვავებული. ქრონიკული ჰიპერტროფული): დიფერენციული დიაგნოზი, კლინიკო-რენტგენოლოგიური მონაცემების ანალიზი. ანესთეზიის ქვეშ ენდოდონტიური მკურნალობის ჩატარება, დაავადების მონიტორინგი; დ) სარძევე და ახალგაზრდა მუდმივი კბილების შეუქცევადი პულპიტის დიაგნოსტიკა, მკურნალობა ფესვების ჩამოყალიბებისა და გაწოვის ფაზების გათვალისწინებით: პულპიტის მართვა დევიტალური ამპუტაციის ან ექსტირპაციის მეთოდით, დაავადების მონიტორინგი.
K.04.1	**პულპის ნეკროზი**	ა) განიხილება ქრონიკული წყლულოვანი (განგრენული) პულპიტი. დაავადების დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, ენდოდონტიური მკურნალობა. კბილის რესტავრაცია და დაავადების მონიტორინგი; ბ) სარძევე და ახალგაზრდა მუდმივი კბილების შეუქცევადი პულპიტის დიაგნოსტიკა, მკურნალობა ფესვების ჩამოყალიბებისა და გაწოვის ფაზების გათვალისწინებით: პულპიტის მართვა დევიტალური ამპუტაციის ან ექსტირპაციის მეთოდით, დაავადების მონიტორინგი.
K04.2	**პულპის დეგენერაცია**	დაავადების დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, კბილის ენდოდონტიური მკურნალობა და დაავადების მონიტორინგი.
K04.3	**კბილის მაგარი ქსოვილების წარმოქმნის დარღვევა პულპაში**	განიხილება დენტიკლები, პეტრიფიკატები და კალცინირებული ჩანართები - მათი დიაგნოსტიკა, პულპის ანთების შემთხვევაში კბილის ენდოდონტიური მკურნალობა და დაავადების მონიტორინგი.
K04.4	**პულპისგან განვითარებული მწვავე აპიკალური პერიოდონტიტი**	ა) დაავადების კლინიკურ-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, არხების ენდოდონტიური მკურნალობა, კბილის რესტავრაცია, დაავადების მონიტორინგი; ბ) სარძევე და ახალგაზრდა მუდმივ კბილებში დაავადების დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, ფესვების ჩამოყალიბებისა და გაწოვის ფაზების გათვალისწინებით ადეკვატური ენდოდონტიური მკურნალობა, კბილის დაბჟენა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი ბავშვთა ყბა-სახის ქირურგთან.

K04.9	**პულპის და პერიაპიკალური ქსოვილების სხვა და დაუზუსტებელი ავადმყოფობები (პულპოპერიოდონტული კომბინირებული დაავადებები)**	სარძევე და ახალგაზრდა მუდმივი კბილების პულპოპერიოდონტული კომბინირებული დაავადებების დიაგნოსტიკა, ბავშვის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და დაავადების მონიტორინგი.
K04.5	**ქრონიკული აპიკალური პერიოდონტიტი**	ა) განიხილება ქრონიკული ფიბროზული, გრანულური და გრანულომური პერიოდონტიტები; ბ) კლინიკურ-რენტგენოლოგიური გამოკვლევები, დაავადების დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, კბილის ფესვების ენდოდონტიური მკურნალობა, კბილის რესტავრაცია და დაავადების მონიტორინგი; გ) სარძევე და ახალგაზრდა მუდმივი კბილების დაავადების კლინიკო-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, ფესვების ჩამოყალიბებისა და გაწოვის ფაზების გათვალისწინებით ენდოდონტიური მკურნალობის გეგმის შედგენა და ჩატარება, კბილის რესტავრაცია და დაავადების მონიტორინგი. საჭიროებისამებრ რეფერალი ბავშვთა ყბა-სახის ქირურგთან ან პირის ღრუს ქირურგთან.
K04.6	**პერიაპიკალური აბსცესი ღრუთი**	განიხილება ქრონიკული პერიოდონტიტების (აპიკალური გრანულომის) ის ფორმები, რომელთაც აღენიშნებათ სხვადასხვა ლოკალიზაციის ხვრელარხები. კლინიკო-რენტგენოლოგიური მონაცემების საფუძველზე დაავადების დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოზის გატარება. ფესვების ენდოდოტნიური მკურნლობა და კბილის რესტავრაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა და დაავადების მონიტორინგი. საჭიროებისამებრ რეფერალი პირის ღრუს ქირურგთან.
K04.7	**პერიაპიკალური აბსცესი ღრუს გარეშე (პერიაპიკალური აბსცესი ხვრელარხის გარეშე)**	განიხილება ქრონიკული პერიოდონტიტების (აპიკალური გრანულომის) ის ფორმები, რომელთაც აღენიშნებათ სხვადასხვა ლოკალიზაციის ხვრელარხები. კლინიკო-რენტგენოლოგიური მონაცემების საფუძველზე დაავადების დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოზის გატარება. ფესვების ენდოდოტნიური მკურნლობა და კბილის რესტავრაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა და დაავადების მონიტორინგი. საჭიროებისამებრ რეფერალი პირის ღრუს ქირურგთან.
K04.8	**ფესვის კისტა**	კლინიკო-რენტგენოლოგიური მონაცემების ანალიზი კისტის ზომის და ძვლოვანი ქსოვილის რეზორბციის შესაფასებლად, დიფერენციული დიაგნოზის გატარება, მკურნალობის თერაპიული და ქირურგიული გეგმის შედგენა, არხის ენდოდონტიური მკურნალობა, კბილის რესტავრაცია, დაავადების მონიტორინგი და საჭიროებისამებრ რეფერალი პირის ღრუს ან ყბა-სახის ქირურგთან.

K05.0	მწვავე გინგივიტი	დიაგნოსტიკა. დიფერენციული დიაგნოსტიკა. მკურნალობის რაციონალური, კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მკურნალობა.
K05.1	ქრონიკული გინგივიტი	დიაგნოსტიკა. დიფერენციული დიაგნოსტიკა. მკურნალობის რაციონალური, კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მკურნალობა.
K05.2	მწვავე პერიკორონიტი	დიაგნოსტიკა. დიფერენციული დიაგნოსტიკა. მკურნალობის რაციონალური, კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მკურნალობა.
K05.3	ქრონიკული პაროდონტიტი	დიაგნოსტიკა. დიფერენციული დიაგნოსტიკა. მკურნალობის რაციონალური, კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის კომპლექსში ქირურგი სტომატოლოგის, ორთოპედისა და ორთოდინტის ჩართვა.
K05.4	პაროდონტოზი	დიაგნოსტიკა. დიფერენციული დიაგნოსტიკა. მკურნალობის რაციონალური, კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მკურნალობა.
K05.5	პაროდონტის სხვა ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა. დიფერენციული დიაგნოსტიკა. მკურნალობის რაციონალური, კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მკურნალობა.
K05.6	პაროდონტის ავადმყოფობა, დაუზუსტებელი	დიაგნოსტიკა. დიფერენციული დიაგნოსტიკა. მკურნალობის რაციონალური, კომპლექსური და მაქსიმალურად ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მკურნალობა.
K06.0	ღრძილების რეცესია (ღრძილოვანი კიდის ატორფია)	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა
K06.1	ღრძილის ჰიპერტროფია	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა
K06.2	ღრძილისა და უკბილო ალვეოლური მორჩის ტრავმული დაზიანება	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა
K06.8	ღრძილის და უკბილო ალვეოლური მორჩის სხვა დაზუსტებული დაზიანებები	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა
K06.9	ღრძილის და უკბილო ალვეოლური მორჩის დაზიანებები, დაუზუსტებელი	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა
K 13.0	ტუჩის ავადმყოფობები	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან
K13.1	ლოყისა და ტუჩის მოკვნეტა	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან
K 13.2	ლეიკოპლაკია და პირის ღრუს ეპითელიუმის სხვა დაზიანებები, იგულისხმება ენაც	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან

K12.1	**სტომატიტის სხვა ფორმები**	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან
K12.0	**პირის ღრუს მორეციდივე აფტები (გამონაყარი ლორწოვანზე)**	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან
K14.3	**ენის დვრილის ჰიპერტროფია**	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან
K14.8	**ენის სხვა ავადმყოფობები**	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან
K 14.6	**გლოსოდინია**	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან
K 14.1	**"გეოგრაფიული" ენა**	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან
K 14.2	**რომბისებური გლოსიტი, შუამდებარე**	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან
K 14.5	**დანაოჭებული ენა**	დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა. საჭიროების შემთხვევაში რეფერალი შესაბამის სპეციალისტთან

5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) თერაპევტ- სტომატოლოგს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების შედეგების ინტერპრეტაცია:

ა.ა) რენტგენოგრაფია/ვიზიოგრაფია;

ა.ბ) პანორამული რენტგენოგრამით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.გ) კბილის ვიტალობის განსაზღვრა (თერმოდიაგნოსტიკა, ელექტროოდონტოდიაგნოსტიკა);

ა.დ) მინანქრის დემინერალიზაციის კლინიკური დიაგნოსტიკა (კბილების ვიტალური შეღებვა);

ა.ე) ბავშვის პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსების განსაზღვრა (კბილების ვიტალური შეღებვა); (ფეოდოროვ-ვოლოდკინის, გრინ-ვერმილიონის);

ა.ვ) პაროდონტული ინდექსების განსაზღვრა (PMA, CPITN);

ა.ზ) ფესვის არხის სიგრძის განსაზღვრა (მათემატიკური, ელექტრომეტრული და რენტგენოლოგიური მეთოდი);

ა.თ) ლაბორატორიული გამოკვლევები (ჰემატოლოგიური, მორფოლოგიური, ციტოლოგიური, მიკრობიოლოგიური, იმუნოლოგიური, ალერგოლოგიული).

ბ) თერაპევტ-სტომატოლოგს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

ბ.ა) რაბერ-დამის სისტემით საოპერაციო ველის იზოლაცია;

ბ.ბ) კბილების, ღრძილებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის გაუტკივარება - ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებების შერჩევა და მათი გამოყენება: რეგიონული, ინფილტრაციული, აპლიკაციური;

ბ.გ) სტანდარტული სადიაგნოსტიკო კლინიკური მეთოდების გამოყენება (მ.შ. ზონდირება, კბილთა მორყევის ხარისხის განსაზღვრა);

ბ.დ) პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენის ჩატარება;

ბ.ე) ადგილობრივი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება: მარემინერალიზებელი თერაპია, ფისურების ჰერმეტიზაცია;
ბ.ვ) დროებით და მუდმივ დენტიციაში ოდონტოგენური დაავადებების მკურნალობისას საჭირო:
ბ.ვ.ა) მანუალური პროცედურების შესრულება:
ბ.ვ.ა.ა) კბილის/კარიესული ღრუს პრეპარირება (ბლეკის პრინციპითა და თავისუფალი დიაზინის პრინციპით, მინიმალურ-ინვაზიური თერაპია);
ბ.ვ.ა.ბ) დაბჟენა –რესტავრაცია;
ბ.ვ.ა.გ) სამკურნალო სარჩულის მოთავსება;
ბ.ვ.ა.დ) წკირების ფიქსაცია;
ბ.ვ.ა.ე) კბილის ტრეპანაცია;
ბ.ვ.ა.ვ) პულპოტომია (დევიტალური ამპუტაცია, ვიტალური ამპუტაცია);
ბ.ვ.ა.ზ) პულპექტომია;
ბ.ვ.ა.თ) არხების ენდოდონტიური დამუშავება (მექანიკურ-ქიმიური);
ბ.ვ.ა.ი) ენდოდონტში დროებითი ნახვევის მოთავსება/ მედიკამენტების იმპრეგნაცია;
ბ.ვ.ა.კ) არხების დაბჟენა (სილერითა და გუტაპერჩის ლატერალური კონდენსაციის მეთოდით, არხის საბჟენი პასტით-სარძევე კბილების).
ბ.ვ.ბ) თერაპიული ეფექტის უზრუნველყოფა:
ბ.ვ.ბ.ა) დენტინოგენეზის სტიმულაცია;
ბ.ვ.ბ.ბ) აპიკალური ოსტეოგენეზის სტიმულაცია;
ბ.ვ.ბ.გ) აპექსიფიკაცია;
ბ.ვ.ბ.დ) აპექსოგენეზი.
ბ.ზ) ლორწოვან გარსისა და პაროდონტის დაავადებების მკურნალობა: პათოგენური ან სიმპტომატური ადგილობრივი (დამუშავება - აპლიკაცია) და ზოგადი მედიკამენტური (ანტიმიკრობული, ანტივირუსული, ანტიმუკოზური, კერატოპლასტიკური, საანესთეზიო) თერაპია; პაროდონტული ჯიბების დამუშავება;
ბ.თ) ბავშვის მონიტორინგი (მკურნალობის გამოსავლის/ შედეგის კლინიკური და რენტგენოლოგიური შეფასება);
ბ.ი) კბილის ვიტალობის განსაზღვრა (თერმოდიაგნოსტიკა, ელექტროოდონტოდიაგნოსტიკა);
ბ.კ) მინანქრის დემინერალიზაციის კლინიკური დიაგნოსტიკა (კბილების ვიტალური შეღებვა);
ბ.ლ) ბავშვის პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსების განსაზღვრა (კბილების ვიტალური შეღებვა - ფეოდოროვ-ვოლოდკინის, გრინ-ვერმილიონის მეთოდით);
ბ.მ) პაროდონტული ინდექსების განსაზღვრა (PMA, CPITN);
ბ.ნ) ფესვის არხის სიგრძის განსაზღვრა (მათემატიკური, ელექტრომეტრული და რენტგენოლოგიური მეთოდი);
ბ.ო) პაციენტთათვის ინდივიდუალური ჰიგიენური ჩვევების სწავლება;
ბ.პ) ლაზეროთერაპია.

6. გარდამავალი ეტაპის რეგულირება

ა) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს, განახორციელოს საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობის ფარგლებში;

ბ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს, რომელსაც სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობაში - „თერაპიული სტომატოლოგია“ მიენიჭა 2015 წლამდე, უფლება აქვს, განახორციელოს „თერაპიული სტომატოლოგიის“ კომპეტენციებით განსაზღვრული საქმიანობა, გარდა ბავშვთა კონტინგენტის (15 წლამდე ასაკი) მომსახურებისა. აღნიშნულ სფეროში საქმიანობის მიზნით მან უნდა დაასრულოს სპეციალიზაციის კურსი - „ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია“;

გ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს, რომელსაც 2014 წლამდე მინიჭებული აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი „ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია“, უფლება აქვს განახორციელოს ბავშვთა კონტინგენტის (18 წლამდე ასაკი) „თერაპიული სტომატოლოგიის“ კომპეტენციებით განსაზღვრული საქმიანობა. მოზრდილი კონტინგენტის (18 წლის ზემოთ) მომსახურების მიზნით მან უნდა გაიაროს სპეციალიზაციის კურსი - „თერაპიული სტომატოლოგია“. აღნიშნული კურსის („თერაპიული სტომატოლოგია“) დასრულების შემდგომ მას, ასევე, შეუძლია, მოიპოვოს სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობაში - „თერაპიული სტომატოლოგია“ (სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე).

7. სპეციალიზაცია

სტომატოლოგიური რენტგენო-რადიოლოგია.